სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება №44 01.08.2024 წ

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზია

2024 წ

სარჩევი მუხლი 1. ზოგადი დებულება.....

მუხლი 2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები.....

მუხლი 4. მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი.....

მუხლი 5. ნარჩენების გატანის პროცედურები.....

მუხლი 6. დასკვნითი დებულება .....

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს.

1.2 წინამდებარე წესის მიხედვით განსაზღვრული წესები ვრცელდება სკოლა-გიმნაზიაში არსებულ როგორც საერთო სარგებლობის სივრცეებზე, ასევე სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე.

მუხლი 2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

2.1. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა საერთო სარგებლობის სივრცეებში

2.1.1. სკოლა-გიმნაზიის ფოიე და დერეფნები ყოველდღიურად უნდა დალაგდეს სველი წესით, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. იატაკი უნდა გაირეცხოს, გაიწმინდოს მტვრიანი ზედაპირები (კიბის მოაჯირები, მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები);

2.1.2. ფანჯრები გაიწმინდოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ;

2.1.3. საკლასო ოთახები უნდა განიავდეს შესვენებებზე. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ იატაკი გაიწმინდოს სველი წესით და მაგიდის ზედაპირები გასუფთავდეს მტვრისგან.

2.2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა საპირფარეშოებსა და სველ წერტილებში

2.2.1. სკოლა-გიმნაზიის შიდა სანიტარული კვანძები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ყველა სართულზე უნდა იყოს მოწყობილი ტუალეტები გოგონებისა და ვაჟებისთვის;
- შენობაში პედაგოგებისა და სხვა პერსონალისთვის უნდა არსებობდეს ცალკე სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით;
- სანიტარულ კვანძებს უნდა ჰქონდეთ განათება და ვენტილაცია;
- ტუალეტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრივატულობა და დაცულობა.

2.2.2. საპირფარეშოში იატაკი, ნიჟარები და უნიტაზები უნდა გაირეცხოს ჯაგრისით სარეცხი-

სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით, ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად, ხოლო ეპიდსაშიში სიტუაციის დროს 30 წთ-ის განმავლობაში დამუშავდეს 1%-ანი ქლორის ხსნარით;

2.2.3. ხელსაბანი ნიჟარა უზრუნველყოფილი უნდა იყოს: თბილი 37-38°C წყლის უწყვეტი ნაკადით; ფიქსირებულ დისპენსერში არსებული თხევადი საპნით; ერთჯერადი ხელსახოცით; ხელსაბანი ნიჟარის ან საპირფარეშოს კართან მოთავსებული ნარჩენების კონტეინერით;

2.2.4. საპირფარეშოს კარების სახელურები უნდა გაიწმინდოს სადეზინფექციო ხსნარით;

2.2.5. სანიტარული კვანძის დასუფთავებისთვის გამოიყენება მარკირებული ინვენტარი, რომელიც უნდა ინახებოდეს განცალკევებით და დამუშავდეს ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.
2.3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა სატრაპეზოში

2.3.1. სკოლა-გიმნაზიის სატრაპეზო (სამზარეულო და ბუფეტი) უნდა დალაგდეს მოსწავლეების ტრაპეზის(სადილის) დასრულების შემდეგ;

2.3.2. მაგიდები უნდა გაირეცხოს ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო საშუალებებით.;

2.3.3. სატრაპეზოს იატაკი უნდა გაირეცხოს სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;

2.3.4. სატრაპეზოს ჭურჭელი რეცხვის წინ უნდა გათავისუფლდეს საკვების ნარჩენებისგან, შემდეგ კი გაირეცხოს ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით, შემდეგ გამდინარე წყლით და ბოლოს გაშრეს თაროზე;

2.4. დასუფთავებისთვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში, პირვანდელი შეფუთვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის;

2.5. თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს შენობის გენერალური დასუფთავება.

მუხლი 3. ყოველთვიური და გენერალური დასუფთავებისას სტანდარტული მოთხოვნები

3.1.ა) კედლის და ჭერის გამანათებელი საშუალებების შუშების წმენდა შიგნიდან და გარედან, ნებისმიერ სიმაღლეზე;

ბ) კედლებსა და ჭერზე განთავსებული შემწოვ-გამწოვი სავენტილაციო და გათბობაგაგრილების სისტემის ცხაურებიდან მტვრის მოცილება;

გ) კომპიუტერების, ტექნიკის, საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის, ჟალუზების, რბილი ავეჯის საფარის წმენდა;

დ) ფანჯრების წმენდა შიგნიდან და გარედან;

ე) იატაკებზე მოვლის საშუალებების დატანა (საპრიალებელი, კონსერვაციის, დამცავი, მაკრისტალებელი ნივთიერებების გამოყენებით);

ვ) სამზარეულოს აღჭურვილობის (ქურა, მაცივარი, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, მიკროტალღური და საცხობი ღუმელები, სხვა ელექტროსაქონლის და აპარატურის) წმენდა და დეზინფექცია.

ზ) შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:

- კარის ბლოკისა და კიბეების, სპორტული და სათამაშო მოედნების დაგ-ვადასუფთავება, ურნების დაცლა, მათი რეცხვა-დეზინფექცია და ნაგვის გატანა, მისასვლელი ბილიკების სველი წესით დამუშავება;
- ფანჯრებისა და შუშის კედლების სრული წმენდა შიგნიდან და გარედან, მიუხედავად სიმაღლისა;

მუხლი 4. მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი

4.1. სკოლა-გიმნაზიას უნდა გააჩნდეს სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისთვის(ხელის დაბანა, საკვების მომზადება, ტუალეტების ჩარეცხვა, ოთახების დასუფთავება);
4.2. სასმელი დანიშნულების წყალი უნდა იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ სასმელად ვარგისიანობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4.3. სამზარეულო, ბუფეტი და სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხელი წლის მომარაგებით;
4.4. წყლის რეზერვუარი საკმარისი მოცულობის თავდახურულ ავზს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება და ჩაუტარდება დეზინფექცია(დეზინფექციის შემდგომ ავზს აუცილებლად უნდა გამოევლოს სუფთა წყალი);
4.5. სასმელი წყლით მოსწავლეთა უზრუნველყოფა დასაშვებია, როგორც წყლის დისპენსერების, ასევე წყლის შადრევნების გამოყენებით.

მუხლი 5. ნარჩენების გატანის პროცედურები

5.1. სკოლა-გიმნაზიის გარე ტერიტორია (ეზო)უნდა დასუფთავდეს საჭიროების მიხედვით ;

5.2. ყოველდღიურად უნდა განხორციელდეს მყარი ნარჩენების შეგროვება ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსოებში და მოხდეს უსაფრთხო გატანა შენობიდან;

5.3. მოგროვებული ნარჩენი უნდა ჩაიყაროს ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში;

5.4. ნაგავის კონტეინერი შენობიდან მოშორებით უნდა იყოს განთავსებული;

5.5. ნაგავის კონტეინერები უნდა დაიცლოს საჭიროების მიხედვით.

მუხლი **6. დასკვნითი დებულება**

6.1. სკოლა-გიმნაზიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს ამტკიცებს დირექტორი ნორმატიული აქტით;

6.2. წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით